KA021707237093319

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

ქ. თელავი ერეკლე 2-ის N 6
11

Tel: (+995 32) 2 98 11
info@nasp.gov.ge

N9/15276

14 / მარტი / 2019 წ.

სსიპ ქალაქ საგარეჯოს N1 საჯარო სკოლას
მის: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. N58

სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" კახეთის მომსახურების ცენტრში შემოვიდა თქვენი MES 4 19 00268937 05.03.2019წ. და MES 5 19 00298755 13.03.2019წ. წერილები, სსიპ ქალაქ საგარეჯოს N1 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონებიდან 52,91 კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ კახეთის მომსახურების ცენტრი თანახმაა სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონებიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N55.12.51.070), გასცეთ იჯარით, სასკოლო კვების ობიექტის (ბუფეტი) ფუნქციონირების მიზნით, ქ. საგარეჯოში, დ. აღმაშენებლის ქ. N58-ში მდებარე, სკოლის შენობის პირველ სართულზე არსებული 52,91 კვ.მ. ფართი, 01 (ერთი) წლის ვადით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და გაითვალისწინოთ, რომ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში გაუქმებული იქნება საიჯარო ხელშეკრულება, რაც უნდა წარმოადგენდეს იჯარის ხელშეკრულების აუცილებელ პირობას.

ამასთან, საიჯარო ქირა უნდა განისაზღვროს საბაზრო ფასებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული აუდიტორის მიერ შედგენილი იჯარის თანხის ოდენობის დამდგენი გადაწყვეტილებით. ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში სსიპ ქალაქ საგარეჯოს N1 საჯარო სკოლის მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

კახეთის მომსახურების ცენტრის უფროსი

ზვიად თედორაძე